ოქმი N 3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2016 წლის 26 თებერვალი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. მერაბ ნადარაია
3. იგორ გოგოლაძე
4. ვასილ კუკავა
5. როსტევან გვარამია
6. გენადი ზარანდია
7. კახა ლატარია
8. ჯემალი ნადარაია
9. კახა მიქაბერიძე
10. მალხაზ ლაგვილავა
11. გენადი ქაძანაია
12. მურმან გელანტია

სხდომას თავმჯდომარეობდა ტ. ალექსანდრია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 09 თებერვლის N04/282 და 2016 წლის 17 თებერვლის N04/355 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ანგარიშის შესრულების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 15 თებერვლის N03/335 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 25 თებერვლის N03/435 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ანგარიშის შესრულების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #46 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 6424,2 ათასი ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში 6433,9 ათასი ლარის ოდენობით. 2015 წლის იანვარ-დეკემბრის თვის პერიოდში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 9850,3 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 9886,8 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 6170,9 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია, მ/შორის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 220.0 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი 1551,8 ათასი ლარი, 1000,0 ათასი ლარი რეგიონში ინფრასტრუქტურისა და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, ხოლო 3399,1 ათასი ლარი ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებია (კაპიტალური) მ/შორის 841,0 ათასი ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი ტრანსფერია.

2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 97,9 %-ით (წლური გეგმა 9850,3 ათასი ლარი - შესრულება 9646,7 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლები გეგმიური წლიური 3000.0 ათასი ლარიდან შემოსულია 2830,5 ათასი ლარი- 169,5 ათასი ლარით ნაკლები.

გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია 6086,4 ათასი ლარი, მ/შორის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 208,3 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი 1551,8 ათასი ლარი, რეგიონში ინფრასტრუქტურის და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად 1000,0 ათასი ლარი. ფონდებიდან გამოყოფილი ტრანფერები(კაპიტალური) 3326,3 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 475,8 ათასი ლარიდან ბიუჯეტში შემოსულია 590,8 ათასი ლარი 115,0 ათასი ლარით მეტი. მ/შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის წლიური გეგმიური 115,0 ათასი ლარიდან შემოსულია 185,1 ათასი ლარი- 70,1 ათასი ლარით მეტი. სანებართვო მოსაკრებელი წლიური გეგმით 6,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 40,0 ათასი ლარი - 34,0 ათასი ლარით მეტი.შემოსავალი ჯარიმებიდან და სანქციებიდან გეგმიური 225,0 ათასი ლარიდან შემოსულია 247,2 ათასი ლარი, 22,2 ათასი ლარით მეტი, მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის წლიური გეგმიური 37,8 ათასი ლარიდან შემოსულია 41,1 ათასი ლარი, 3,3 ათასი ლარით მეტი. შეუსრულებელია მხოლოდ შემოსავლები მომსახურების გაწევიდან გეგმიური 92,0 ათასი ლარიდან შემოსულია 73,1 ათასი ლარი - 18,9 ათასი ლარით ნაკლები.

შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია წლიური გეგმიური 203,6 ათასი ლარიდან 139,8 ათასი ლარი 63,8 ათასი ლარით ნაკლები.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი ათვისებულია 90,8 % (წლიური გეგმა 9886,8 ათასი ლარი ფაქტიური შესრულება 8976,8 ათასი ლარი) რაც მოდის შემდეგ ღონისძიებებში კერძოდ: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი, გეგმით გათვალისწინებული 2438,6 ათასი ლარიდან ათვისებულია 2253,0 ათასი ლარი.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაცვა, წლიური გეგმიური 525,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 510,1 ათასი ლარი. მ/შორის საგანგებო სიტუაციების მართვა - 407,9 ათასი

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – გეგმით გათვალისწინებული 4121,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 3557,8 ათასი ლარი. აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია- ათვისებულია 752,2 ათასი ლარი , კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია - ათვისებულია 1931,0 ათასი ლარი, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა - რეაბილიტაცია გახარჯულია 47,5 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ათვისებულია 827,1 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებები წლიური გეგმიური 1312,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 1274,2 ათასი ლარი, მ/შორის: აიპ ,,სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების" ხარჯი 915,6 ათასი ლარია. აიპ ,,განათლების ცენტრის„ მიერ ათვისებულია 279,4 ათასი ლარი. ა ი პ ,,პროფესიული სასწავლებელის" ხარჯი - 79,2 ათასი ლარია.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები წლიური გეგმიური 995,8 ათასი ლარიდან გახარჯულია 924,9 ათასი ლარი. აქედან, სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 462,1 ათასი ლარით, კულტურის განვითარების ხელშეწყობა 453,8 ათასი ლარი და რელიგიური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 9,0 ათასი ლარით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2015 წლის გეგმიური 493,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 456,8 ათასი ლარი, აქედან მოსახლეობის ჯანდაცვის პროგრამები - 116,4 ათასი ლარით, ხოლო სოციალური პროგრამები 340,4 ათასი ლარით.

ფულადი სახსრების ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 828,4 ათასი ლარია, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ნაშთი 439,8 ათასი ლარია.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშის შესრულების თაობაზე განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშის შესრულების თაობაზე განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" შესაბამისად გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისად მომზადდა ადგილობრივი ბიუჯეტის კვარტალური განწერა, რაც გულისხმობს ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველკვარტალურად განაწილებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით აღნიშნული განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12, წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.